ფარმაცევტი/ანაზღაურებადი სტაჟირება

დასახელება: **ფარმაცევტი/ანაზღაურებადი სტაჟირება**	
მომწოდებელი: **SmartPharm**	
გამოქვეყნდა: **02 ნოემბერი** / ბოლო ვადა: **20 ნოემბერი**	

"**Smartpharm**" ფარმაცევტული კომპანიაა, რომელიც დაფუძნებულია 2011 წელს და ეწევა ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტსა და დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ორიენტირებულია სტაბილურ განვითარებაზე, ფარმაცევტული პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდასა და სამომხმარებლო სერვისების გაუმჯობესებაზე. "SmartPharm" იმპორტს ახორციელებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან: ლიტვა, ლატვია, ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი და სხვა, ასევე წარმატებით თანამშრომლობს CIS ქვეყნებთან, როგორიცაა რუსეთი, უკრაინა, ინდოეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი. კომპანია წარმოადგენს მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი მწარმოებელი კომპანიების: Zeta Farmaceutici - იტალია, Aldo Union - ესპანეთი, Beta Laboratorios - არგენტინა, Glenmark Pharmaceuticals - ინდოეთი, Adipharm -ბულგარეთი, ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. დღეის მდგომარეობით "SmartPharm" მთელი საქართველოს მასშტაბით 800-მდე აფთიაქთან, მსხვილ ფარმაცევტულ ბაზებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობს და ერთ-ერთი ძლიერი დამსაქმებელია ფარმაცევტულ ბაზარზე კარიერული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

კომპანია "Smartpharm" აცხადებს **ანაზღაურებად სტაჟირებას**.

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო განაკვეთი: არასრული
სტაჟირების ვადა: 6 თვემდე (სტაჟირების პერიოდის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კომპანია კანდიდატებს სთავაზობს დასაქმებას)

ფუნქცია-მოვალეობები:

** კომპანიის ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართულობა;
** კომპანიის ადმინისტრაციული დოკუმენტების დაარქივებასა და ელექტრონული ბაზების შექმნაში მონაწილეობა;
** სოციალური მედიის მართვაში ჩართულობა;
** სამუშაო შეხვერდებისთვის საორგანიზაციო საკითხების მომზადებაში ჩართულობა;
** კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებთან და თანამშრომლებთან კომუნიკაცია

სამუშაოს ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

** სასურველია განათლება (ან სტუდენტი) ფარმაცევტული მიმართულებით;
** Microsoft საოფისე პროგრამების ცოდნა;

უნარები/პიროვნული თვისებები:

** განვითარებაზე ორიენტაცია;
** ორგანიზებულობა;
** ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
** დეტელებზე ორიენტირებულობა;
** დროის ეფექტურად მართვის უნარი.

"Smartpharm" გაძლევთ შესაძლებლობას იმუშაოთ ახალგაზრდა, კრეატიული და დინამიური კადრებით დაკომპლექტებულ გუნდში, რომლებიც ფლობენ გამოცდილებას ფარმაცევტული და ჯანდაცვის სერვისების მიმართულებით. ორგანიზაცია ზრუნავს და ხელს უწყობს თანამშრომელთა კარიერულ განვითარებას.

შერჩევა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:

** CV (რეზიუმე) გადარჩევა;
** ინდივიდუალური გასაუბრება;

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი CV(რეზიუმე) ელ.ფოსტაზე: hr@smartpharm.ge და სათაურის ველში მიუთითოთ დასახელება "სტაჟიორი".

CV (რეზუმე) გამოგზავნის საბოლო ვადა: **20/11/2020**.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ორგანიზაცია დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

"Smartpharm" მადლობას გიხდით დაინტერესებისთვის და გისურვებთ წარმატებას!